სსიპ ვ. ჭაბუკიანის სახელობის თბილისის საბალეტო

ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებლის მიერ

2020 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში:

**2 იანვარი 2020 წელი**

ტელეკომპანია პირველი არხი.
საახალწლო შოუ დათუნა ალადაშვილთან ერთად
მონაწილეობდნენ:
სასწავლებლის სწავლების - მე-V, VI, VII, VIII წლის მოსწავლეები
შესაბამისი ვიდეო განთავსებულია სასწავლებლის საიტზე

**31 დეკემბერი 2019 წელი**

ტელეკომპანია ტვ პირველის საახალწლო კონცერტი
მონაწილეობდნენ:
სასწავლებლის სწავლების - მე-V, VI, VII, VIII წლის მოსწავლეები
შესაბამისი ვიდეო განთავსებულია სასწავლებლის საიტზე

## 11-12 იანვარი 2020 წელი



ზ.ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი.
პრემიერა !! პ.ჩაიკოვსკის ბალეტი "მაკნატუნა".
მონაწილეობდნენ:
სასწავლებლის სწავლების - მე-IV, V წლის მოსწავლეები

## 22 იანვარი 2020 წელი

ზ.ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრი.
ვ.ჭაბუკიანის სახელობის საბალეტო ხელოვნების სასწავლებლის საახალწლო კონცერტი ორ მოქმედებად
საკონცერტო პროგრამა და "თოჯინების ფერია"
მონაწილეობდნენ:
სასწავლებლის სწავლების I, II, III, IV,V, VI, VII, VIII წლის მოსწავლეები და I, II, III, IV -მოსამზადებელი კლასის მოსწავლეები.

**14,15,16 თებერვალი 2020 წელი**

ზ.ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრი.
პ.ჩაიკოვსკის ბალეტი "მძინარე მზეთუნახავი".
მონაწილეობდნენ:
სასწავლებლის სწავლების - მე-IV, V წლის მოსწავლეები

**27 თებერვალი 2020 წელი**

ვახტანგ ჭაბუკიანის დაბადებიდან 110 წლის იუბილე.
მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონი
მონაწილეობდნენ:
სასწავლებლის სწავლების I წლის მოსწავლეები და პედაგოგები.

**12 მარტი 2020 წელი**

ახალი კორონა ვირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით, საქართველოს განათლების მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ გაიცა რეკომენდაცია საგანმანათლებლო და სახელოვნებო დაწესებულებებში დეზინფექციის ჩატარების თაობაზე.აღნიშნული რეკომენდაციის საფუძველზე მ/წლის 12 მარტს სასწავლებელში ჩატარდა სადეზინფექციო სამუშაოები: სპეციალუური ხსნარებით დამუშავდა სასწავლებლის

შემოსასვლელი, კიბის უჯრედები, დერეფნები, სველი წერტილები, დარბაზები, გასახდელები,ადმინისტრაციისა და ტექპერსონალის სამუშაო ოთახები.

**2 აპრილი 2020 წელი**



კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით, პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით მოქმედი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, სასწავლო პროცესის გადავადებასთან დაკავშირებით, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო დისტანციური სწავლების მეთოდებს აძლიერებს, შესაბამისად მიმდინარე წლის 2 აპრილიდან სსიპ ვ. ჭაბუკიანის სახელობის თბილისის საბალეტო ხელოვნების სახელობის საბალეტო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებელი გადავიდა დისტაციურ სწავლებაზე.

2020 წლის 27 ივნისიდან სსიპ ვ. ჭაბუკიანის სახელობის თბილისის საბალეტო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებელის სამხატვრო ხელმძღვანელი ქალბატონი ნინო ანანიაშვილი ახორციელებს საინტერესო ინტერვიუებს მსოფლიო ბალეტის ცნობილ წარმომადგენლებთან. http://stateballetschool.ge/ananiashvili_2020.php

სამწუხაროდ 2020 - 2021 სასწავლო წელიც არ აღმოჩნდა გამონაკლისი და ახალი covid -19 ვირუსიდან გამომდინარე სსიპ - ვ. ჭაბუკიანის სახელობის თბილისის საბალეტო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებელი დისტანციურ რეჟიმში აგრძელებს სასწავლო პროცესს ყოველდღიური დატვირთვით.